დამტკიცებულია, შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს
2021 წლის 15 ივლისის N11/21 ოქმით
ცვლილება 2022 წლის 7 ნოემბრის აკადემიური საბჭოს N17/22 ოქმით
ცვლილება 2022 წლის 20 დეკემბრის აკადემიური საბჭოს N 20/22 ოქმით
ცვლილება აკადემიური საბჭოს 2024 წლის 20 დეკემბრის 16/24 ოქმით

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

COLLEGE

სარჩევი

მუხლი 1. მოქმედების სფერო 3

მუხლი 2. სასწავლო პროცესი 3

მუხლი 3. კალენდარული გეგმის შემუშავება 4

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება 4

მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა 5

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა 6

მუხლი 7. მობილობა 6

მუხლი 8. დაწესებულების ავტორიზაციის ვადის გასვლის/გაუქმების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა 8

მუხლი 9. პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობები 9

მუხლი 10. პროფესიული სტუდენტის დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები 10

მუხლი 11. დისციპლინური პასუხისმგებლობის სახდელის სახეები 11

მუხლი 12. პროფესიულ სტუდენტთა წახალისების ზომები 11

მუხლი 13. პროფესიული სტუდენტის/მსმენლის პირადი საქმე 11

მუხლი 14. ფორმალური, ოკუპირებულ ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების აღიარება 12

მუხლი 15. არაფორმალური განათლების აღიარება 15

მუხლი 1. მოქმედების სფერო

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (შემდგომში წესი) შემუშავებულია ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების, მოქმედი კანონმდებლობისა და პროფესიული განათლების სფეროს ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე.
2. წინამდებარე წესი არეგულირებს კოლეჯის სასწავლო პროცესს აწესრიგებს კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროცედურების განხორციელების პროცესს, ასევე, განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებას, შეჩერებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მუხლი 2. სასწავლო პროცესი

1. დაწესებულებაში სწავლება მიმდინარეობს დაწესებულების მისამართზე, ქ. თბილისი, ჯანო ბაგრატიონის N6. საწარმოო პრაქტიკა მიმდინარეობს დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციების ტერიტორიაზე.
2. სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის დაწყებამდე ადგენს სასწავლო ცხრილს.
3. სასწავლო განრიგი მოთავსებულია დაწესებულებაში, თვალსაჩინო ადგილზე.
4. სასწავლო ცხრილში შესაძლებელია განხორციელდეს ცვლილება, რასაც ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერი.
5. პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ყოველდღიურად ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა დასწრების აღრიცხვა.
6. კოლეჯში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ყოველ დღე გარდა შაბათისა (გამონაკლისი შემთხვევები) და კვირისა.
7. სასწავლო პროცესის მიმდინარეობს 09:00 – 21:00 პერიოდში.
8. სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს:
   - მარიამობას - 28 აგვისტოს
   - გიორგობას - 23 ნოემბერს
   - დამოუკიდებლობის დღეს - 26 მაისს
   - ახალი წლის პერიოდში - 30 დეკემბრიდან 7 იანვრის ჩათვლით
   - აღდგომის კვირას - აღდგომის წინა ოთხშაბათიდან მომდევნო კვირის სამშაბათის ჩათვლით
9. არდადეგები განისაზღვრება აკადემიური კალენდარით, რომელსაც ამტკიცებს დირექტორი ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში.
10. სასწავლო პროცესი თუ ემთხვევა უქმე დღეებს, აღდგენა განხორციელდება შესაბამისი კვირის განმავლობაში.
11. სალექციო დროის ხანგრძლივობა 50 წუთია, შესვენება – 10 წუთი.

მუხლი 3. კალენდარული გეგმის შემუშავება

1. სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისა და პროფესიული საგანმანათელბლო პროგრამით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, პროფესიული მასწავლებელი, თითოეული მოდულის დაწყებამდე 5 კალენდარული დღით ადრე, შეიმუშავებს კალენდარულ გეგმას (კალენდარული გეგმის ფორმა, დანართი N1).
2. კალენდარული გეგმა არის კონკრეტული მოდულის განხორციელების წინასწარ დაგეგმვას დროში. იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან დოკუმენტს, კონკრეტული მოდულის განხორცილების პროცესის შეფასებისთვის და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების ინიცირებისათვის.
3. კალენდარული გეგმა უნდა ფარავდეს მოდულით მისაღწევ ყველა სწავლის შედეგს და შესაბამისობაში იყოს მოდულის მესამე ნაწილით განსაზღვრულ საათების განაწილებასთან.
4. კალენდარული გეგმა, ასევე, მოიცავს კომენტარების ველს, რომელშიც მოდულის განმახორციელებელი პირი სწავლების პროცესში შეიტანს თავის მოსაზრებებსა და კომენტარებს მოდულის მიმდინარეობისას, რომელიც გამოიყენება პროგრამის განვითარებისთვის.
5. კალენდარული გეგმა მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
   ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
   ბ) მოდულის სახელწოდება და კოდი
   გ) მოდულის კრედიტების რაოდენობა
   დ) მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების დასახელება
   ე) სასწავლო თემატიკა
   ვ) საკონტაქტო საათი
   ზ) დამოუკიდებელი საათი
   თ) სწავლებისა და შეფასების მეთოდები
   ი) მოდულის განსახორციელებლად საჭირო რესურსი
   კ) კომენტარების ველი
   ლ) მოდულზე დასვების წინაპირობა
6. პროფესიული მასწავლებელი შემუშავებულ კალენდარულ გეგმას წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელიც განიხილავს და ადასტურებს მას.
7. მოდულის განხორციელების ეტაპზე წარმოქმნილი გაუთვალისწინებელი ფაქტორები გამო, შესაძლებელია ცვლილების შეტანა კალენდარულ გეგმაში, სასწავლო პროცესის მენეჯერთან შეთანხმებით.

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:
   1.1 პირადი/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, შესაბამისი საფუძვლის მითითებით;
   1.2 პროფესიული სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა;
   1.3 კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევები.
2. სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, კოლეჯი და პროფესიული სტუდენტი თავისუფლდებიან ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც წარმოიშვა სტატუსის შეჩერებამდე.
3. შეჩერებული სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი არ განიხილება დაწესებულების სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.
4. პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი სტატუსის შეჩერების თხოვნით განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს, რომლის საფუძველზეც გამოიცემა დირექტორის ბრძანება სტატუსის შეჩერების შესახებ.

5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ დირექტორის ბრძანების გამოცემის შემდეგ, ინფორმაცია შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 17 თებერვალის N11/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების“ შესაბამისად.
6. პროფესიული სტუდენტის მიერ სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, გადახდილი სწავლის საფასური დაბრუნებას არ ექვემდებარება (განსაკუთრებულ შემთხვევებს ინდივიდუალურად განიხილავს დირექტორი, შესაბამის სამსახურებთან ერთად), თუმცა სტატუსის აღდგენის შემთხვევაში ჩაეთვლება შემდეგი ოდენობით:
   6.1 სრულად, თუ სტატუსი შეუჩერდა სწავლის დაწყებიდან 2 კვირის განმავლობაში
   6.2 ნახევარი, თუ სტატუსი შეუჩერდა სწავლის დაწყებიდან 7 კვირის განმავლობაში.
7. გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასული პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება არ ხორციელდება.
8. პროფესიული სტუდენტს სტატუსი შესაძლოა შეუჩერდეს არაუმეტეს 5 წლის ვადით.

მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი სტატუსის აღდგენის თხოვნით განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს.
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე ან/და მომდევნო სასწავლო წელს.
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხორციელდება იმავე პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ფარგლებში, დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
4. თუ პროფესიული სტუდენტის მიერ სტატუსის აღდგენის მომენტისათვის გაუქმებულია ან შეცვლილია ის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც ის ირიცხებოდა ან შეუძლებელია აღნიშნულ პროგრამაზე სტატუსის აღდგენა, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია სწავლა გააგრძელოს ყველაზე მსგავს საგანმანათლებლო პროგრამაზე ან ისარგებლოს მობილობით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა იმ დაწესებულებაში, სადაც პირს შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, დასაშვებია კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.
6. პროფესიული სტუდენტი სტატუსის აღდგენის შემდეგ სწავლას აგრძელებს შესაბამის პროგრამაზე, ისეთ ჯგუფში, რომელშიც შესაძლებელი იქნება სწავლის გაგრძელება, მოდულების დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით, ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, დადგენილი წესის შესაბამისად. სწავლას განაგრძობს იმ ეტაპიდან რა ეტაპზეც შეუჩერდა სტატუსი.
7. სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის სწავლის საფასური განისაზღვრება აღდგენის პერიოდისათვის პროფესიულ პროგრამაზე არსებული მიმდინარე გადასახადით.
8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ დირექტორის ბრძანების გამოცემის შემდეგ, ინფორმაცია შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 17 თებერვალის N11/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების“ შესაბამისად.

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი სტატუსის შეწყვეტის თხოვნით განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს.
2. სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
   2.1 პირადი/კანონიერი წარმომადგნელის განცხადება;
   2.2 დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილება;
   2.3 გარდაცვალება;
   2.4 შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
   2.5 გარე მობილობა;
   2.6 სწავლის შედეგების მიუღწევლობა;
   2.7 სტატუსის შეჩერება ხუთ წელზე მეტი ხნის ვადით.
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სასწავლო პროცესის მენეჯერი მიმართავს კოლეჯის დირექტორს.
4. პროფესიული სტუდენტს სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში სწავლის საფასური არ უბრუნდება (გასანკუთრებულ შემთხვევებს განიხილავს დირექტორი შესაბამის სამსახურებთან ერთად).
5. დაწესებულება ვალდებულია პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საკითხის დაყენების დროს, სტატუსის შეწყვეტის საფუძვლის სპეციფიკის გათვალისწინებით, აცნობოს პირს (კანონიერი წარმომადგენელს/მხარდამჭერს) აღნიშნულის შესახებ, მოისმინოს მისი პოზიცია და მისცეს მას ახსნა-განმარტების წარმოდგენის უფლება.
6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხი აღარ განიხილება.
7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ხდება დაწესებულების დირექტორის დასაბუთებული ბრძანების საფუძველზე.
9. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ დირექტორის ბრძანების გამოცემის შემდეგ, ინფორმაცია შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 17 თებერვალის N11/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების“ შესაბამისად.
10. გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. მობილობა

1. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს მობილობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. პროფესიული სტუდენტის მობილობა არის პროფესიული სტუდენტის თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების ან კვალიფიკაციის აღიარება.

3. მობილობის უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის ამ დაწესებულების პროფესიული სტუდენტი.
4. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
5. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ იმავე ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში.
6. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.
7. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, გარდა შემთხვევისა, როდესაც ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა მობილობა, რომელთა დაწესებულებები ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ან დაწესებულებამ დაკარგა პროგრამის განხორციელების უფლება ან საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსი ან გაუვიდა ავტორიზაციის ვადა; აღნიშნულ შემთხვევაში დასაშვებია ზღვრული რაოდენობის გადაჭარბება არაუმეტეს 25%-ით და პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.
8. მობილობა არსებობს ორი სახის: **გარე მობილობა და შიდა მობილობა**.
   8.1 პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს **შიდა მობილობით,** რაც გულისხმობს ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობას კოლეჯის შიგნით.
   8.2 შიდა მობილობის განხორციელების დროს, პროფესიული სტუდენტი განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს. განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ პროგრამის სახელწოდება, რომელზეც პირს სურს გადასვლა.
   8.3 მობილობის ადგილების რაოდენობა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში, იმ მიმართულებებისა და პროგრამების მითითებით, რომელზეც მიზანშეწონილია პროფესიულ სტუდენტთა მიღება.
   8.4 პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს შიდა ან გარე მობილობის უფლებით, 8.3 პუნქტით განსაზღვრულ ვადებში.
   8.5 შიდა მობილობის განხორციელებისას, სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლისას, პროფესიული სტუდენტის სწავლის საფასური განისაზღვრება მობილობით არჩეულ პროფესიულ პროგრამაზე არსებული მიმდინარე გადასახადით (განსხვავებული პირობა შეიძლება დადგინდეს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით).
   8.6 შიდა მობილობის განხორციელების შეთხვევაში კონკურსის არსებობისას, მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტი აბარებს კოლეჯის მიერ განსაზღვრულ გამოცდას/მოტივაციურ გასაუბრებას; შეირჩევა საუკეთესო შედეგების მქონე აპლიკანტები. გამოცდის ტიპი რეგულირდება დირექტორის ბრძანებით.
   8.7 მიღებული განათლების აღიარებას ახორციელებს **ფორმალური განათლების აღიარების კომისია (მუხლი 14.15)** კომისია კომპეტენციის ფარგლებში ადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ; ამ მიზნით

კომისია უფლებამოსილია მოსთხოვოს პროფესიულ სტუდენტს ჩაბარებული კომპონენტების აღწერილობა ან/და გამოცდის ჩაბარება. კრედიტების აღიარების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით.

9. **გარე მობილობით** გადმოსვლის მსურველი სტუდენტი ვალდებულია კოლეჯს წარუდგინოს:
   - ამონაწერი სხვა პროფესიულ კოლეჯში ჩარიცხვის შესახებ
   - პროფესიული სტუდენტის სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი)
   - ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ
   - სხვა დოკუმენტაცია, რომელიც დამატებით შეიძლება განსაზღვორს კოლეჯის დირექტორმა.

   9.1 გარე მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს კოლეჯს. განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ პროგრამის სახელწოდება, რომელზეც პირს სურს გადასვლა.

   9.2 გარე მობილობით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლისას პროფესიული სტუდენტის სწავლის საფასური განისაზღვრება მობილობით არჩეულ პროფესიულ პროგრამაზე არსებული მიმდინარე გადასახადით.

   9.3 გარე მობილობის განხორციელების შეთხვევაში კონკურსის არსებობისას, მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტი აბარებს კოლეჯის მიერ განსაზღვრულ გამოცდას; შეირჩევა საუკეთესო შედეგების მქონე აპლიკანტები. გამოცდის ტიპი რეგულირდება დირექტორის ბრძანებით.

10. მიღებული განათლების აღიარებას ახორციელებს **ფორმალური განათლების აღიარების კომისია (მუხლი 14.15).** კომისია კომპეტენციის ფარგლებში ადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ; ამ მიზნით კომისია უფლებამოსილია მოსთხოვოს პროფესიულ სტუდენტს ჩაბარებული კომპონენტების აღწერილობა ან/და გამოცდის ჩაბარება. კრედიტების აღიარების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით.

11. დაწესებულება უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:
    - დაწესებულებას არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;
    - დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პირის შემდგომ განათლებას მიმღები პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;
    - მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს დაწესებულების მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

12. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტისა და მოდულის/მოდულების შემუშავების განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით წინამდებარე წესის შესაბამისად. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია მოახდინოს პროფესიული სტუდენტის ინფორმირება აღნიშნულის შესახებ.

მუხლი 8. დაწესებულების ავტორიზაციის ვადის გასვლის/გაუქმების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს ქვემოთ მოცემულ მექანიზმებს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით:

1.1 დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა პროფესიულ საგანმანთლებლო დაწესებულებებთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის თაობაზე იმავე ან მონათესავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

1.2 დაწესებულება სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს შეცვლილი ან გაუქმებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შესაძლებლობით უზრუნველყოფას.

1.3 დაწესებულება სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას შეცვლილი ან გაუქმებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ მონათესავე პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელსაც თავად ახორციელებს.

მუხლი 9. პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობები

1. პროფესიულ სტუდენტებს შორის და პროფესიულ სტუდენტებსა და კოლეჯს შორის კომუნიკაცია ხორციელდება კოლეჯის ონლაინ სისტემის გამოყენებით. პროფესიულ სტუდენტებს სისტემაში შესასვლელად ეძლევათ შესაბამისი კოდი, პაროლი (შეცვლა შეუძლიათ სურვილისამებრ).
2. ონლაინ სისტემაში გაგზავნილი ნებისმიერი სახის შეტყობინება ითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად. შესაბამისად, კოლეჯი იხსნის ვალდებულებას განახორციელოს პროფესიული სტუდენტის ინფორმირება სხვა საკომუნიკაციო წყაროებით.
3. პროფესიულ სტუდენტს **უფლება** აქვს მიიღოს:
    - ხარისხიანი განათლება, აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო თეორიულ და პრაქტიკულ აქტივობებში.
    - მოსთხოვოს კოლეჯის ადმინისტრაციას კანონმდებლობით**,** კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით**,** მასთან დადებული ხელშეკრულებითა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება**.**
    - ისარგებლოს კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით**.**
    - ისარგებლოს დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა რესურსებით;
    - მიიღოს კოლეჯის ადმინისტრაციისგან ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლება-მოვალეობების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და კოლეჯის სხვა რესურსების შესახებ**.**
    - პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი.
4. პროფესიული სტუდენტი **ვალდებულია:**
    - დაიცვას კანონმდებლობის, კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტების, მასთან დადებული ხელშეკრულებითა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნები**.**
    - შეასრულოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მოთხოვნები.
    - არ გამოიყენოს პლაგიატი სასურველი შედეგის მიღწევის მიზნით.
    - გაუფრთხილდეს კოლეჯის ინფრასტრუქტურას.
    - იმოქმედოს იმგვარად, რომ არ შეურაცხყოს კოლეჯის ინტერესები.
    - კოლეჯის სამუშაო სივრცეში დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მოთხოვნები.
    - კოლეჯის შენობაში ხანძრის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ განაცხადოს აღნიშნულის შესახებ.
5. კოლეჯი **ვალდებულია:**
    - სტუდენტებს შეუქმნას სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სასწავლო გარემო.

- სტუდენტებს დროულად, სრულად და გასაგებად მიაწოდოს ყველა ის ინფორმაცია რამაც შეიძლება იმოქმედოს მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებაზე.
- შეიმუშაოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რათა საგანგებო შემთხვევის დროს დროულად მიიღოს ყველა გონივრული ზომა შემთხვევის შედეგების დროული ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციისათვის, პირველადი დახმარების აღმოჩენისა და ევაკუაციისათვის.

მუხლი 10. პროფესიული სტუდენტის დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები

1. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები განსაზღვრავს სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს, დისციპლინური სახდელის სახეებს, დისციპლინური დევნის დაწყებასა და პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხებს.
2. სტუდენტების მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლობების, ჯანმრთელობის, კოლეჯის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.
3. სტუდენტის მიერ დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველია:
    - წინამდებარე წესით, კოლეჯის საქმიანობის სპეციალური მარეგულირებელი კანონმდებლობის, ან სხვა შიდა სამართლებრივი ბრძანებების (წესების) მოთხოვნათა დარღვევა;
    - ზნეობრივ-ეთიკური ნორმების დარღვევა, კოლეჯში დასაქმებული პირის, სტუდენტის ან კოლეჯის დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი;
    - ქმედება, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა კოლეჯის ნორმალურ ფუნქციონირებას ან/და რეპუტაციას;
    - კოლეჯისთვის შეგნებულად ან დაუდევრობით მატერიალური/ქონებრივი ზიანის მიყენება ან არსებითი ზიანის მიყენების საფრთხის შექმნა;
    - კოლეჯის ან სტუდენტისადმი გამოხატული აშკარა უპატივისმცემლობა, არაკორექტული ქმედება,
    - კოლეჯის თანამშრომლის ან სტუდენტის მიმართ ჩადენილი ნებისმიერი დისკრიმინაციული ქმედება, ან შევიწროვების ფაქტი (მათ შორის სქესობრივი, რასობრივი და ეთნიკური დევნა. ან და სხვა ხასიათის შევიწროვება);
    - შრომის და სახანძრო უსაფრთხოების ზოგადი წესების დარღვევა;
4. დისციპლინური გადაცდომის გამოვლენის შემთხვევაში პირი, რომელმაც იგი გამოავლინა კოლეჯის დირექტორის სახელზე ადგენს მოხსენებით ბარათს და აღწერს ქმედებას, შესაბამისი დროის, თარიღისა და სხვა არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების მითითებით.
5. დისციპლინური დარღვევის სიმძიმიდან და შინაარსიდან გამომდინარე, დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური კომისიის შექმნის თაობაზე.
6. დისციპლინური კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.
7. დისციპლინური კომისია წერილობით აღწერს დისციპლინური დარღვევის გარემოებებს, მიუთითებს უტყუარი ფაქტების შესახებ. მოხსენებითი ბარათი წარედგინება კოლეჯის დირექტორს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების ან მის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ.
8. დისციპლინური დარღვევაში ეჭვმიტანილი ვალდებულია მოთხოვნისთანავე წარმოადგინოს ახსნა-განმარტება. თუ ის თავს არიდებს შესაბამისი განმარტების წარმოდგენას კოლეჯი უფლებამოსილია აღნიშნული ფაქტი დააფიქსიროს წერილობით და წარმოება განაგრძოს განმარტების გარეშე.

9. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებისას მხედველობაში მიიღება გადაცდომის სიმძიმე, მისი ჩადენის გარემოებები, დისციპლინური სამართალდამრღვევის ჩამდენი პირის მონაწილეობის ხარისხი და სხვა ობიექტური გარემოებები.
10. დისციპლინური გადაცდომის სტუდენტს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, გადაიღოს მასალების ასლები, წარმოადგინოს მტკიცებულებები, მისცეს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებები.
11. არასრულწლოვანი სტუდენტის დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მის მშობელს ან/და კანონიერ წარმომადგენელს.
12. პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯისთვის ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანის გამო, ზიანის ოდენობის შესაბამისი მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიულ სტუდენტს (არასრულწლოვანების შემთხვევაში - მის კანონიერ წარმომადგენელს).
13. დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი, რაც ფორმდება შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – ბრძანებით.

მუხლი 11. დისციპლინური პასუხისმგებლობის სახდელის სახეები

1. კოლეჯის დირექტორი დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში დისციპლინური დარღვევის სიმძიმისა და ჩადენის გარემოებების გათვალისწინებით, უფლებამოსილია გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის:
   1.1 წერილობითი ან/და ზეპირსიტყვიერი შენიშვნა;
   1.2 წერილობითი ან/და ზეპირსიტყვიერი საყვედური;
   1.3 მატერიალური სახდელის დაკისრება;
   1.4 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.
2. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი.
3. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია აანაზღაუროს ის მატერიალური ზიანი, რომელიც მის მიერ დისციპლინური გადაცდომის შედეგად მიადგა კოლეჯს, თუ ეს გადაცდომა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არის ჩადენილი.

მუხლი 12. პროფესიულ სტუდენტთა წახალისების ზომები

1. სანიმუშო ყოფაქცევის ან/და სასწავლო პროცესის განმავლობაში მიღწეული მაღალი შედეგებისთვის, კოლეჯის სტუდენტების/მსმენელების და მასწავლებლისთვის ჩადენილი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ქმედებისთვის წესდება სტუდენტის/მსმენლის წახალისების შემდეგი ფორმები:
   1.1 მადლობა;
   1.2 მადლობის სიგელის გადაცემა;
   1.3 ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება და სხვა
2. პროფესიული სტუდენტის მიმართ წახალისების ზომები გამოყენების უფლება აქვს კოლეჯის დირექტორს, შესაბამისი თანამშრომლის მოხსენებითი ბარათის ან/და საკუთარი ინიციატივით;
3. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის წახალისების შესახებ საზოგადოებას მიეწოდება კოლეჯის სტენდის/საჯაროდ სიტყვიერად გამოცხადებით ან კოლეჯის ვებ-გვერდის საშუალებით

მუხლი 13. პროფესიული სტუდენტის/მსმენლის პირადი საქმე

1. პროფესიული სტუდენტის/მსმენლის „პირადი საქმე“ იქმნება და მას აწარმოებს სასწავლო პროცესის მენეჯერი.
2. პროფესიული სტუდენტის/მსმენლის პირადი საქმე მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს:
   2.1 პირადი/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;
   2.2 პასპორტის/პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
   2.3 1 ფერადი ფოტოსურათი ზომით 3x4-ზე;

2.4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის მოთხოვნის შესაბამისად, საბაზო საფეხურის /სრული ზოგადი/ უმაღლესი / პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან/და ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა საბაზო საფეხურის ზოგადი განათლების ან/და სრული ზოგადი განათლების დაძლევის გარეშე;

2.5 დისციპლინის დარღვევის ან/და წახალისების ზომის გამოყენების შესახებ კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები;

2.6 მასთან გაფორმებულ ხელშეკრულება.

2.7 ნებისმიერ ისეთ დოკუმენტს, რომელიც პირდაპირ და უშუალო კავშირშია პროფესიული სტუდენტის/მსმენლის უფლებებსა და მოვალეობებთან.

3. პროფესიული სტუდენტის/მსმენლის პირად საქმეში მოთავსებული დოკუმენტაცია წარმოადგენს კოლეჯის საკუთრებას (გარდა უშუალოდ დედნის სახით წარმოდგენილი დოკუმენტისა) და რჩება კოლეჯში.

მუხლი 14. ფორმალური, ოკუპირებულ ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების აღიარება

1. ფორმალური განათლების აღიარებას ახდენს დაწესებულება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის NN№121/ნ ბრძანებით დამტკიცებული "ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესისა" და წინმდებარე წესის შესაბამისად.
2. ფორმალური განათლების აღიარება დასაშვებია, თუ:

   2.1 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული და მიღწეული სწავლის შედეგები ერთნაირადაა ფორმულირებული ან ფორმულირებაში არსებობს მცირედი განსხვავება, რომელიც გამოწვეულია ენობრივი თავისებურებით ან/და სწავლის შედეგების განსხვავებული სტრუქტურირებით და ხელს არ უშლის მათ იდენტურად მიჩნევას. ამასთან, სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით ერთმანეთთან თავსებადია;

   2.2 მიღწეული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით აღემატება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.
3. ფორმალური განათლების აღიარების მსურველი (შემდგომში – განმცხადებელი) უფლებამოსილია, მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ. თუ პირის მიერ გავლილი მოდულის კრედიტები იდენტურია დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულისა, მისი აღიარება ხდება ავტომატურად.
4. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა შეადგენს **1 თვეს** განცხადების წარმოებაში მიღების დღიდან.

   5. ფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

   5.1 დაწესებულებისთვის განცხადების წარდგენა;

   5.2 კომისიის შექმნა დაწესებულების დირექტორიდ ბრძანების საფუძველზე;

   5.3 კომისიის მიერ განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა/ შეფასება;

   5.4 კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება;

   5.5 დაწესებულების დირექტორის მიერ ბრძანების გამოცემა კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.
6. დაწესებულება უზრუნველყოფს ფორმალური განათლების აღიარების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობას შემდეგნაირად:

   ა) წინამდებარე წესი განთავსებულია საჯაროდ, დაწესებულების ვებ-გვერდზე;

   ბ) პირის მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებისთანავე მას დაწვრილებით განემარტება ფორმალური განათლების აღიარების შესაძლებლობები, აღნიშნულის საფუძვლები და შესაბამისი პროცედურები და წესები.
7. განმცხადებლის მიერ დაწესებულებისათვის წერილობითი ფორმით წარდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) დაწესებულების დასახელებას;

ბ) განმცხადებლის სახელსა და გვარს, ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართს;

გ)განმცხადებლის ელექტრონული ფოსტის მისამართს;

დ) განმცხადებლის ტელეფონის ნომერს;

ე) განცხადების შევსების ადგილსა და თარიღს;

ვ) მოთხოვნას, კერძოდ, მითითებას იმ სწავლის შედეგზე/შედეგებზე, რომლის აღიარებასაც ითხოვს განმცხადებელი;

ზ) განმცხადებლის ხელმოწერას;

თ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას.

8. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას უნდა ერთვოდეს:

8.1 განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

8.2 თუ აღიარების მსურველი წარმოდგენილია წარმომადგენლით, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

8.3 ფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და მისი დანართი (ასეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში)/უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – დიპლომი და მისი დანართი/ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი) ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან ცნობა, რომელიც ადასტურებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულ კონკრეტულ სწავლის შედეგებს, გარდა წინამდებარე მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

9. წინამდებარე მუხლის მე-7. პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას, შესაძლებელია, ერთვოდეს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დასადგენად დაწესებულების/პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი იურიდიული პირის მიერ გაცემული ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ასაღიარებელი სწავლის შედეგის მიღწევის თაობაზე, გარდა წინამდებარე მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

10. დაწესებულება არ არის უფლებამოსილი განმცხადებელს მოსთხოვოს წინამდებარე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია იმ სწავლის შედეგების აღიარების ნაწილში, რომელიც მიღწეულ იქნა ამავე დაწესებულების მიერ განხორციელებული ფორმალური განათლების ფარგლებში.

11. დაწესებულების სასწავლო პროცესისა მენეჯერი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას წინამდებარე მუხლის მოთხოვნებთან. თუ განმცხადებელი დაწესებულებას არ წარუდგენს საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიმე დოკუმენტს, დაწესებულება განმცხადებელს განუსაზღვრავს არანაკლებ 15 სამუშაო დღის ვადას, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია. აღნიშნულის შესახებ დაწესებულება ახდენს განმცხადებლის ინფორმირებას ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

12. დაწესებულების მიერ წინამდებარე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება.

13. თუ დაწესებულების მიერ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს, დაწესებულების დირექტორი გამოსცემს ბრძანებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

14. განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ წინამდებარე მუხლის საფუძველზე შექმნილი კომისია (შემდგომში - კომისია) უზრუნველყოფს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას.

15. **ფორმალური განათლების აღიარების კომისია** შედგება 3 წევრისგან. კომისიის შემადგენლობაში შედის:

ა) სასწავლო პროცესის მენეჯერი;

ბ)შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პირი;

გ) დაწესებულების იურისტი.

16. დაწესებულებას უფლება აქვს განმცხადებელი მოიწვიოს კომისიის განხილვაზე, თუ მისი მონაწილეობა აუცილებელია წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

17. კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის წევრები. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.
18. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
19. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
20. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს განმცხადებელთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ, შესაბამისი საფუძვლის მითითებით. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა.
21. კომისია კენჭს უყრის თვითაცილების/აცილების შესახებ საკითხს. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას არ იღებს კომისიის ის წევრი, რომელმაც დააყენა თვითაცილება/რომლის მიმართაც დაყენებულია აცილება. კომისიის წევრი თვითაცილებულად/აცილებულად ითვლება კომისიის მიერ შესაბამისის გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.
22. კომისია უზრუნველყოფს წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის შესწავლას იმის დასადგენად, არსებობს თუ არა წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული აღიარების საფუძვლები. იგი არ არის უფლებამოსილი განმცხადებლის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით განახორციელოს მისი შეფასება.
23. კომისია წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
    ა) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარების შესახებ;
    ბ) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.
24. განმცხადებელს აღიარების გზით კრედიტი ენიჭება მოდულით/სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგის აღიარების შემთხვევაში. სწავლის შედეგების აღიარების შემთხვევაში პირს ენიჭება იმ პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, რომლის მიზნებისთვისაც მოხდა სწავლის შედეგების აღიარება.
25. კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მითითებული უნდა იყოს ის სწავლის შედეგი/შედეგები, რომელთა აღიარებაც განხორციელდა ან რომელთა აღიარებაზეც განმცხადებელს ეთქვა უარი შესაბამისი დასაბუთებით.
26. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დაწესებულების დირექტორის მიერ გამოიცემა ბრძანება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:
    ა) დაწესებულების დასახელება;
    ბ) განმცხადებლის ვინაობა;
    გ) იმ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის/სასწავლო კურსის სახელწოდება, რომლის სწავლის შედეგები უღიარდა/სწავლის შედეგები არ უღიარდა პროფესიულ სტუდენტს;
    დ) აღიარებული კრედიტების რაოდენობა;
    ე) გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;
    ვ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა.
27. დაწესებულება ვალდებულია, გადაწყვეტილება განმცხადებელს აცნობოს დირექტორის ბრძანების გამოცემიდან **3 სამუშაო დღის** ვადაში, ზეპირსიტყვიერად ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
28. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება დირექტორის სახელზე წარდგენილი პირადი/კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის საჩივრის საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში საჩივარის რეგისტრაციიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში საქმისწარმოების მენეჯერი ამოწმებს აღნიშნული საჩივრის შესაბამისობას საქართველოს კანონით „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილ მოთხოვნებთან (თუ კი საჩივარი შეუსაბამოა აღნიშნულ მოთხოვნებთან, საქმის წარმოების მენეჯერი წერილობით განუსაზღვრავს საჩივრის ავტორს 5 დღის ვადას ხარვეზის გამოსწორებისათვის), რის შემდგომაც დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება სააპელაციო კომისია და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ კვირას. განხილვის დაწყების შესახებ დაუყონებლივ ეცნობება საჩივრის ავტორს და განემარტება მისი უფლებები და მოვალეობები აღნიშნული განხილვის ფარგლებში.

29. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან: დირექტორი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, დარგის სპეციალისტი - პროფესიული განათლების მასწავლებელ(ებ)ი (პროფესიული განათლების მასწავლებელის შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი). კომისია საოქმო დადგენილების სახით აფორმებს პასუხს პროფესიული სტუდენტის საჩივარზე. აღნიშნული პასუხი პროფესიულ სტუდენტს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ ფოსტის ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
30. ფორმალური განათლების აღიარების შედეგები და წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები, აისახება სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ წარმოებულ შესაბამის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, ფორმალური განათლების აღიარების შედეგების ასახვისთვის პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შესაბამისი პროგრამული მოდულის შექმნის შემდეგ. ხოლო ელექტრონული სისტემის შექმნამდე პროცესი წარიმართოს მატერიალური სახით.
31. კოლეჯი შესაბამისი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნამდე უზრუნველყოფს ფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შენახვას და სისტემის შექმნის შემდეგ 2 თვის ვადაში კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მათი ასახვა.
32. **უცხო ქვეყნის** საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
33. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე პირის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებისათვის წინამდებარე წესით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.
34. პირის მიერ **ოკუპირებულ ტერიტორიებზე** მიღებული განათლების აღიარებას მათი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, ახდენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

მუხლი 15. არაფორმალური განათლების აღიარება

1. არაფორმალური განათლების მქონე პირის ცოდნისა და უნარების შემოწმებისა და შესაბამისი დარგის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან მისი შედარების გზით შესაძლებელია არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება.
2. არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურები განისაზღვრება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.